საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1405
02/03/2023

1405-21-2-202303021826

სს „აჭარის წყლის ალიანსს“
მის: კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
ელ.ფოსტა: lnfo@awa.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2023 წლის 10 თებერვლის N36 განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურში გამწმენდი ნაგებობის (N4) და წყალარინების სისტემის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული, მათ შორის, სააგენტოს 2022 წლის 24 ნოემბრის N21/7172 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- ანგარიშის თანახმად ,,პროექტით გათვალისწინებულია ფრანგული ტიპის ვერტიკალური ჰიდრობიოტანიკური ნაკადის მქონე მოედნების მოწყობა ერთფილტრიანი საფეხურით. ეს ტექნოლოგია იძლევა საშუალებას, რომ საჭიროების შემთხვევაში მომავალში გაუმჯობესდეს გაწმენდის პროცესი (მეორე ფილტრის ეტაპი: ბიოლოგიური ფილტრის დამატება, ფილტრის შრის გაორმაგება, აერაცია და ა.შ.)”. დაზუსტებას საჭიროებს გაწმენდის პროცესის - მეორე ფილტრის ეტაპის შესახებ დეტალური მონაცემები და რა შემთხვევაში მოხდება მისი გამოყენება. ასევე დასაბუთებას და დეტალურ განხილვას საჭიროებს აღნიშნული გაწმენდის პროცესის გამოუყენებლობის საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად საპროექტო ტერიტორიის (მიწის ნაკვეთის) საკადასტრო კოდია 20.37.02.012, თუმცა აღნიშნული საკადასტრო კოდი არ წარმოადგენს რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, წარმოდგენილი Shp ფაილის მიხედვით გაწმენდი ნაგებობის განთავსება დაგეგმილია 20.37.02.205 კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული საკითხი;
- ზდჩ-ის ნორმების პროექტისა და გზშ-ის ანგარიშის ცხრილებში “ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მდგომარეობა გაწმენდამდე და გაწმენდის შემდგომ“ წარმოდგენილი დაბინძურების დატვირთვის მაჩვენებლები საჭიროებს დაზუსტებას და კონცენტრაციებთან შესაბამისობაში მოყვანას;

- გზშ-ის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე გაიცა სკოპინგის დასკვნა“ საჭიროებს კორექტირებას ვინაიდან აღნიშნულ საქმიანობაზე სკოპინგის დასკვნა გაცემულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ურთიერთშეუსაბამო ინფორმაცია, კერძოდ ანგარიშში აღნიშნულია, რომ წყალჩაშვების წერტილისკენ წყლის გაყვანა მოხდება თვითდენით. თუმცა ასევე აღნიშნულია, რომ ტუმბოების საშუალებით გაწმენდილი წყალი გადაიტუმბება ზედაპირული წყლის ობიექტში. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი ცხრილის სახით, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული ინფორმაცია, ასევე გზშ-ის ანგარიშის უშუალო ქვეთავ(ებ)ი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული, სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო